ლენინურ პროგრამის ბანერზე

ახალ წლამდე 5 დღე დარჩა

ხვავითა და გარაქით შევეგებოთ, მეგობრებო!

ხუთწლედის — ვალდებულებანი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 დეკემბერი, პარასკევი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 301 (14297)

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც იბრძვიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, ვადამდე, 26 დეკემბერს შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი.

წარმატებითაა შესრულებული ქვანახშირისა და მანგანუმის მადნის მოპოვების, თუჯის, მზა ნაგლინის, მინერალური სასუქების, ტრაქტორის კულტივატორების, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის, შეკერილი ნაწარმის, ხორცის, კარაქისა და მცენარეული ზეთის, ღვინის, ჩაისა და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმები.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში თავი გამოიჩინეს ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის, რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის, ფოთის თევზკომბინატის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, თამბაქოს ფაბრიკებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინიციატივით რესპუბლიკაში შეჯიბრება დაიწყო საუკეთესო ხარისხის ტექნიკით, აგრეთვე მინერალური სასუქებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფისათვის.

წლის დამლევამდე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ მილიონობით მანეთის პროდუქციას. (საქდესი).

ქ. თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

შარშან გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, თბილისის მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და ბევრი სახეობის ნაწარმის გამოშვების 1968 წლის საწარმოო გეგმა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა წინა წლოთან შედარებით, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დაუცხრომლად შრომობენ ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების, შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და კულტურის ამაღლებისათვის, ახალ, უფრო სრულყოფილ სახეობათა წარმოის ათვისებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდებისათვის.

სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრეები, მოწინავეთა — წარმოების ნოვატორთა მრავალათასიანი რაზმი. (საქდესი).

ხუთწლედის მძლავრი ნაბიჯები

კიდევ ერთი საგულისხმო ციფრი... მარტო განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვადასხვა ღონისძიებებისათვის, პენსიებისა და დახმარებისათვის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 654.243 ათასი მანეთი.

ეს ადამიანისათვის, ხალხის ინტერესებისათვის პარტიის ლენინური ზრუნვის ნათელი მაგალითია.

რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი ბუნებით ორგანული ნაწილია იმ დიდი პროგრამისა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა დიადი კომუნისტური მშენებლობისათვის. მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა წარმოებაში, განსაკუთრებით შრომის ავტომატიზაცია და მექანიზაცია, ადამიანისათვის შრომის შემსუბუქება.

1969 წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ეკონომიური რეფორმის შემდგომი განვითარების მძლავრი ბერკეტი. მართლაც, საწარმოთა მართვის ახალმა რეფორმამ საშუალება მოგვცა გამოგვნახა დამატებითი რეზერვები, აშკარად გამოგვევლინებინა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა და ამის საფუძველზე მიგვეღწია ზრდისა და განვითარების იმ ტემპისათვის, რომელიც დასახულია სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში.

1969 წელს კიდევ უფრო განვითარდება სოფლის მეურნეობა. ჩვენს რესპუბლიკაში მისი საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 5,7 პროცენტით. იმატებს ჩაის მწვანე ფოთლისა და ყურძნის, ხილისა და ბაჟრის ჭარხლის, ციტრუსოვანთა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ბარაქა, მივიღებთ მეტ ხორცს, რძესა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს.

დიდი მასშტაბით გაგრძელდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი. სოფელი 1969 წელს მიიღებს 3.027 ტრაქტორს, 200 კომბაინს, 1.600 სატვირთო ავტომანქანას, 850 ექსკავატორს, 200 ბულდოზერს და სხვა დიდძალ სახოფლო-სამეურნეო ტექნიკას. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობას მოხმარდება 550 ათასი ტონა მინერალური სასუქი და საჭირო რაოდენობით შხამქიმიკატები.

დიდი გაქანება მიეცემა სამელიორაციო სამუშაოებს. კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ახალ სამეურნეო წელს დაიწყება 9 ათასი ჰექტარი სარწყავი და 12 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწის ფართობის ექსპლოატაცია.

ეს სამუშაო აგრეთვე დიდი მასშტაბით გაგრძელდება ხუთწლედის მეოთხე წელს, რაც მოსავლიანობის გადიდების მძლავრი პირობა იქნება.

ყველა ეს ღონისძიება ემსახურება ხალხის ინტერესებს, მშვიდობიანი მშენებლობის დიად ამოცანებს. 1969 წელს გათვალისწინებულია მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ხელფასის ოდენობამ მიაღწიოს ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულ დონეს.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც ხუთწლედის მესამე წელს უნდა გადაიჭრას — ეს არის შრომის ნაყოფიერების ზრდა ეკონომიკის ყველა სფეროში. ამას რომ მივაღწიოთ, აუცილებელია ფართოდ დანერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, გავაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაციონალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები. შრომის ნაყოფიერების ზრდა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება — არა მარტო ეკონომიური, არამედ დიდი პოლიტიკური საკითხია, მთელი კომუნისტური მშენებლობის გასაღებია.

როცა 1908 წელი დაიწყო, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ბევრი შესანიშნავი თაოსნობა წამოწყეს, ყველა ისინი კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მძლავრი წარმატებების მოპოვებისაკენ იყო მიმართული და გამომდინარეობდა იმ სოციალისტური ვალდებულებებიდან, რომლებიც რესპუბლიკის საწარმოებმა კოლმეურნეობებმა, ცალკეულმა ორგანიზაციებმა იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ადგილებიდან ბევრი სასიხარულო ცნობა მოდის იმის შესახებ, რომ ეს ვალდებულებანი წარმატებით სრულდება, რომ ჩვენი საწარმოები და კოლმეურნეობები გამარჯვებებით ხვდებიან ახალ, 1969 წელს.

დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მზადება ყოველდღე ახალ-ახალ გაქანებას იღებს. ამ დიადი თარიღისათვის მიძღვნილი შეჯიბრება კვლავ ლაღად შლის ფრთებს, რაც მომავალი გამარჯვებების მძლავრი პირობაა.

ჩვენი სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი ემსახურება მშვიდობიანი მშენებლობის ნათელ ამოცანებს, საბჭოთა ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის ზრდას.

მთელი ძალები და შესაძლებლობანი ამ ნათელ და გონიერ წინასწარდახარულობათა შესრულებას!

ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲡᲙᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲔᲑᲘ

150 ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲡ მეტ სულ ცხვარს დაითვლიან დუშეთის რაიონის მეცხოველეობის მეურნეობები. კარგად მოემზადნენ ზამთრისთვის რაიონის მეცხვარეები. ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე გადაჭარბებით შეასრულა ხორცის, მატყლის, რძის, ყველისა და სხვ. დამზადების გეგმიური დავალებები.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სოფელ მაღაროსკარის „ვაჟა ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. კოლმეურნეობის მწყემსები საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელნი არიან. ისინი წელსაც შრომის ავანგარდში დგანან.

კოლმეურნეობის სახელგანთქმული მწყემსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოლომონ ნარიმანაშვილი მდიდარ გამოცდილებას თავის ვაჟიშვილს გურამს გადასცემს, რომელმაც მამის მიბაძვით მწყემსად დაიწყო მუშაობა და ახლავე მაღალ შედეგებს აღწევს.

სურათზე: სოლომონ და გურამ ნარიმანაშვილები.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

26 დეკემბერს მოსკოვიდან მინსკში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. იგი მონაწილეობას მიიღებს ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მე-4 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი: ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა შინაპარტიული დემოკრატიის გაშლისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშამ **ვ. პისარევამ,** „თბილგვირაბმშენის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა **გ. ჩიგოგიძემ,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. დანელიამ,** თბილისის ლენინის სახელობის ელექტრომშენებელი ქარხნის ელექტრომანქანის საამქროს პარტბიურის მდივანმა **ს. კაპანაძემ,** საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა **რ. ნაცვლიშვილმა,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის „ეროვნის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. ბარსუკოვმა,** ავეჯის კომბინატის „განთიადის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა **ა. არტაზოვმა,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ვ. ღოღობერიძემ,** თბილისის საავიაციო საწარმოს პარტკომის მდივანმა **ვ. ზურაბიშვილმა.**

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყალინინის რაიკომის ანგარიში, თ. როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1968 წლის 16 ივნისის დადგენილება „ქალაქის პარტიული ორგანიზაციის იმ ამოცანების შესახებ, რომ კიდევ უფრო გაძლიერონ შემოქმედებითი ინტელიგენციის როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“. მოხსენება გააკეთა პარტიის ყალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა **ს. რიგვავამ.**

კამათში მოხსენების გამო მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა **დ. მეიდლიძემ,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. გრიგალაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **შ. უარყარაშვილმა.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. როდონოვმა.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილებანი, რომელთა მიზანია შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება და პარტიული დისციპლინის განმტკიცება, შემოქმედებითი ინტელიგენციის უფრო აქტიური მონაწილეობა მშრომელთა ფართო მასების კომუნისტურ აღზრდაში. (საქდესი).

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡᲬᲧᲝᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით კიდევ გამოუშვებენ დაახლოებით 100 მილიონი მანეთის ხელსაწყოებსა და ავტომატიზაციის საშუალებებს. ამ სახეობის პროდუქციის წარმოება შარშანდელთან შედარებით 15 პროცენტით იზრდება. აქედან ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ხაზით — 18 პროცენტით.

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ.

1967 წელთან შედარებით გადაზიდვის მოცულობა გადიდდა 14 პროცენტით. მგზავრბრუნვა — 16 პროცენტით. სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენების სამუშაოთა მოცულობა 12 პროცენტით გაიზარდა.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ საწარმოთა **კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს** მინერალური სასუქების **წარმოების წლიური გეგმა.** 1967 წელთან შედარებით მინერალური სასუქების გამოშვება 3 მილიონი ტონით და მეტად გაიზარდა.

ᲛᲘᲣᲨᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-262“

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1968 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-262“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო გამოცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 95,2 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 818 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 263 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 48,5 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემა, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲒᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲒᲗᲐ 10 ᲬᲚᲘ

26 დეკემბერს მოსკოვში მეცნიერთა სახლში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა კუბის რევოლუციის გამარჯვების 10 წლისთავს. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ კუბის რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში რაულ გარსია პელაესს, კუბის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს გერმან ამადო ბლანკოსა და კუბის სხვა წარმომადგენლებს.

მათთან ერთად პრეზიდიუმში იჯდნენ ამხანაგები ა. ი. პელშე, ჟ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა, საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოებრიობის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. შაპოშნიკოვამ. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა. (საკდესი).

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲕᲘ

დღეს 27 დეკემბერს სრულდება ოცდაათი წელი, რაც გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში წარჩინების უმაღლესი ხარისხის — სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების შესახებ.

ამავე დღეს მიღებული იყო ბრძანებულება მედლების „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ დაწესების შესახებ. ეს ისტორიული ბრძანებულებანი იმის დამადასტურებელია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან გმირული შრომის ადამიანებს.

სოციალისტური შრომის გმირის წოდებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს იმათ, ვინც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მეცნიერული აღმოჩენებისა და ტექნიკურ გამოგონებათა დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული საქმიანობით გამოიჩინა დიდი დამსახურება სახელმწიფოს წინაშე, ხელი შეუწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების აღმავლობას, მისი ძლიერებისა და დიდების ზრდას.

იმ მოქალაქეთა განსაკუთრებით გამორჩევის მიზნით, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირის უმაღლესი სამკერდო წოდება მიენიჭათ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველს — მუშაობა და ჭლეხთა შედუღაბებული კავშირის ემბლემაა. „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლის გარდა, სოციალისტური შრომის გმირებს ეძლევათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

სოციალისტური შრომის გმირი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობის დარგში სახელმწიფოს წინაშე ახალი განსაკუთრებული დამსახურებისათვის ჯილდოდება მეორე „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლით. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი წყვეტს საკითხს, რომ მეორე „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლით დაჯილდოებული სოციალისტური შრომის გმირის ბრინჯაოს ბიუსტი დაიდგას მის სამშობლოში.

სოციალისტური შრომის გმირი, რომელიც მეორე „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლით დაჯილდოდა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ახალი ანაოლოგიური მნიშვნელობის შრომით დამსახურებისათვის ჯილდოდება მესამე „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლით.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფად განვითარების წლებშე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა შრომითი წარჩინების უმაღლესი ხარისხის — სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესება. იგი მოუწოდებდა საბჭოთა ადამიანებს, ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს ახალი შრომითი გმირობისათვის, ახალი მიღწევებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად და ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების შესახებ და ახალი შრომითი გამარჯვებებით უპასუხეს მას. რესპუბლიკის მშრომელთა გმირული დამსახურების დადასტურებაა ის ძირითადი შედეგი, რომ მეფის რუსეთის ოდესღაც ყველაზე ჩამორჩენილი განაპირა მხარე — საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ და სასოფლო-სამეურნეო რესპუბლიკად.

საქართველოს რესპუბლიკაში ახლა 991 სოციალისტური შრომის გმირია, რომლებსაც მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“. გმირთა პლეადა რესპუბლიკაში ყოველწლიურად სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება, სახელოვანი კოპორტის ძველი კავალერები კი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დაუცხრომელი ენერგიით შრომობენ ქარხნებსა და კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. სახელგანთქმულ სოციალისტური შრომის გმირთა შორის 380 ქალია, ისინი ძირითადად სოფლად შრომობენ. ესენი არიან უწინარეს ყოვლისა ჩვენი მეჩაიეები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ ჩაის, — ჩხაიძე, ჩიჯავაძე, ყუფუნია, წიგნეიძე, სარსანია და სხვები.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გმირულ შრომაში და შრომითი სახელი მოიხვეჭეს ამხანაგებმა ყუფუნიამ, სვანიძემ და როგავამ. ეს სამი სოციალისტური შრომის გმირი შრომაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა მეორე „ნამგლისა და უროს“ ოქროს მედლით და მათ სამშობლოში აუგეს ბრინჯაოს ბიუსტები.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენენ შრომისა და ომის გმირებისათვის. 1967 წლის 6 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური ბრძანებულება „საბჭოთა კავშირის გმირებისათვის, სოციალისტური შრომის გმირებისა და სამი ხარისხის დიდების ორდენით დაჯილდოებულ პირთათვის დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ“. ამ ბრძანებულების თანახმად, საბჭოთა კავშირის გმირსა და სოციალისტური შრომის გმირს საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიის უფლება აქვს. გმირებს პირველ რიგში უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით დადგენილი ნორმების ფარგლებში. მათ 50 პროცენტით უმცირდებათ კომუნალური მოსახურების ქირა, უფასოდ სარგებლობენ შიდასაქალაქო და რაიონული ტრანსპორტით და წელიწადში ერთხელ შეუძლიათ ითუზაურონ ნებისმიერი ტრანსპორტით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელ ტერიტორიაზე. გმირებს უძღვევათ უფასო საგზური სანატორიული მკურნალობისათვის. ქალაქად და სოფლად მათ რიგგარეშე ემსახურებიან სანახაობითს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ტრანსპორტზე. მამობრივი ზრუნვის ეს ახალი გამოვლინება სახელოვანი შრომითი მიღწევებისათვის შთაგონებს გმირებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომი, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სასოფლო და სადაბო საბჭოები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა კავშირის გმირებისა და სოციალისტური შრომის გმირებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ, მაგრამ ამ მუშაობას არ შეიძლება კამპანიის ხასიათი ჰქონდეს.

შრომისა და ომის გმირებზე ყოველდღიურად უნდა ვიზრუნოთ, რადგან მათ საყოველთაო სახალხო ყურადღება და სიყვარული დაიმსახურეს.

Ჯ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯილდოების განყოფილების გამგე.

(საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის ყოველმხრივმა განხილვამ გვიჩვენა, რომ იგი ერთსულოვნად მოიწონეს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა და სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა.

გეგმის პროექტის განხილვისას საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა, აგრეთვე დეპუტატებმა შემოიტანეს კაპიტალური მშენებლობის საქმის მკაფიერი გაუმჯობესების, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების, შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფის წინადადებანი.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ გეგმის პროექტის თაობაზე გამოთქმულ ზოგიერთ წინადადებასა და შენიშვნაზე.

დეპუტატებმა თედეევმა, ცქვიტინიძემ, კავთიაშვილმა და ბეგიერიანმა დასვეს საკითხი ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საავადმყოფოების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების მშენებლობის დაწყების შესახებ.

როგორც ჩემს მოხსენებაში იყო აღნიშნული, 1969 წლის გეგმის პროექტის შედგენის დროს კაპიტალური მშენებლობის ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აღებული იყო ახალი ობიექტების მშენებლობის მკვეთრად შემცირებისა და ადრე დაწყებულ ობიექტებზე მატერიალური, ფულადი და შრომითი რეზერვების კონცენტრაციის გზა, რათა დაჩქარდეს ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. მიმდინარე წელს დიდი ჩამორჩენაა კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში. 1968 წლის მეორე ნახევარში მწყობრში უნდა ჩამდგარიყო საავადმყოფოები 540 საწოლით, კაპიტალური დაბანდების 11 თვის გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით და საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა არც ერთი საავადმყოფო.

ამავე პერიოდისათვის ზოგადსაგანმანათლებო სკოლების ამოქმედების გეგმა განათლების სამინისტროს ხაზით შესრულებულია 90 პროცენტით. კაპიტალური დაბანდების გეგმა — 83 პროცენტით. დიდი ჩამორჩენაა ახალქალაქის, ახალციხის, ლენინგორის, თიანეთისა და ქობულეთის კულტურის სახლების მშენებლობაში. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ კაპიტალური დაბანდება 1969 წელს უწინარეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს გარდამავალი ობიექტების დამთავრებას. მომავალი წლისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალი მშენებლობის დაწყების. გეგმის პროექტით გათვალისწინებულის გარდა, საშუალება არ არის.

დეპუტატებმა შარტავამ, კოპლატაძემ, თედეევმა, შონიამ და კავთიაშვილმა წამოაყენეს საკითხი საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ობიექტების ასამოქმედებელი ობიექტებიდან კაპიტალური დაბანდების გამოყოფის შესახებ. მოხსენებაში აღვნიშნე, რომ საცხოვრებელი სახლების დასამთავრებლად, ეს უნდა გითვალისწინოს კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მისთვის გამოყოფილი ლიმიტებიდან. აღსანიშნავია, რომ ამ დანიშნულებისათვის მიმდინარე წელს გამოყოფილი 290 ათასი მანეთიდან 11 თვეში ათვისებულია მხოლოდ 90 ათასი მანეთი, ანუ წლიური გეგმის 31 პროცენტი.

რაც შეეხება კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის საქალაქო საბჭოსათვის ბინების ასაშენებლად დამატებითი კაპიტალური დაბანდების გამოყოფას — ამ საკითხს მინისტრთა საბჭო საგანგებოდ განიხილავს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის რესპუბლიკას გამოეყო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდება 32,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 7,3 პროცენტით აღემატება 1968 წლის მოსალოდნელ შესრულებას, ამჟამად დაბანდებითი კაპიტალური დაბანდებების გამოყოფის საშუალება არ არის.

ამხანაგმა ბუხრაშვილმა და დეპუტატმა ცქვიტინიძემ დააყენეს საკითხი თბო და ელექტრომომარაგებაში დაინტერესებული ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობის შესახებ. ამ საკითხის შესწავლა მინისტრთა საბჭომ დაავალა კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოებს, რათა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით წარმოადგინონ სათანადო წინადადება მინისტრთა საბჭოში განსახილველად.

ამხანაგმა ბუხრაშვილმა გამამახვილა ყურადღება იმაზე, რომ შრომითი რესურსების ბალანსის დაძაბულობის მიუხედავად ქ. თბილისში ხორციელდება ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა და არსებულის გაფართოება-რეკონსტრუქცია. საკითხი სწორად არის დასმული. საჭიროა რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება თბილისში ახალი სამრეწველო საწარმოების აგების, გაფართოება-რეკონსტრუქციის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ. სამშენებლო ბანკმა ამ დადგენილების შესრულებას უნდა გაუწიოს სათანადო კონტროლი და მინისტრთა საბჭოს დადგენილების გარეშე არ დაუშვას მათი დაფინანსება. მინისტრთა საბჭო შეისწავლის ამ საკითხს და მიიღებს შესაბამის დადგენილებას.

რაც შეეხება ქალაქის შრომითი რესურსების ბალანსს შედგენას, ეს საკითხი უნდა შეისწავლოს შრომითი რესურსების გამოყენების კომიტეტმა ქალაქის საბჭოს აღმასკომთან ერთად და მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სათანადო წინადადება.

დეპუტატმა შარტავამ დასვა საკითხი მავი ზღვის სანაპიროების გამაგრებაზე დამატებითი კაპიტალური დაბანდების გამოყოფის შესახებ. მე უნდა მოვახსენო ამხანაგ დეპუტატებს, რომ ამისათვის გამოყოფილია 2-მილიონი მანეთი და ამის გარდა შავი ზღვის ნაპირების გამაგრების თაობაზე საკავშირო თათვრობაში შეტანილია სათანადო დადგენილების პროექტი და მისი მიღების შემდეგ ეს საკითხი სპეციალურად იქნება განხილული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ. დეპუტატმა შარტავამ აგრეთვე წამოაყენა საკითხი ქ. სოხუმში დაჭაობებული ფართობის ამოშრობის შესახებ. საგეგმო კომიტეტი შეისწავლის ამ საკითხს და შესაბამის წინადადებას წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

დეპუტატმა ცქვიტინიძემ აღნიშნა, რომ ქუთაისის სახლშენებელი კომბინატი არ არის დატვირთული. მშენებლობის სამინისტრომ უნდა განიხილოს ეს საკითხი და განახორციელოს ღონისძიებანი მის დასატვირთავად.

დეპუტატმა თედეევმა დასვა საკითხი ჯავის რაიონის მოსახლეობის ტელევიზიით უზრუნველყოფის შესახებ. ეს საკითხი გადაწყდება გორი-ცხინვალი-ჯავის რადიოსარელეო ხაზის მშენებლობის შემდეგ, რაც გათვალისწინებული მოსალოდნელი ხუთწლიანი გეგმის პროექტით. დეპუტატმა თედეევმა დააყენა აგრეთვე საკითხი ავტობუსის შემკეთებელი ქარხნის სარემონტო ფონდით უზრუნველყოფის შესახებ. ეს საკითხი ყურადღების ღირსია და იგი უნდა განიხილოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ.

დეპუტატმა კოპლატაძემ დააყენეს საკითხი ქ. ბათუმის სარემონტო ორგანიზაციების გაერთიანება-გამსხვილების შესახებ. ეს საკითხი ყურადღების ღირსია და საჭიროა კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ აქარის მინისტრთა საბჭოსთან და სათანადო უწყებებთან ერთად შეისწავლოს იგი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სათანადო წინადადება.

დეპუტატმა გვოზდიკოვმა დაიყენა საკითხი ქალაქ რუსთავში ინდივიდუალური დასახლებების კეთილმოწყობისა და ქალაქის მარჯვენა ნაპირის ღვარსადენი კანალიზაციის დაპროექტება-მშენებლობის შესახებ. ეს საკითხები შესწავლილი იქნება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

დეპუტატმა შონიამ წამოჭრა საკითხი ქ. ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი კომბინატის ქვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისა და საბინაო მშენებლობის გადიდების შესახებ. ამ საკითხებს შეისწავლის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დეპუტატმა ჯავთიაშვილმა წამოაყენა მცხეთაში მდინარე მტკვარზე ხიდის მშენებლობის დაწყების საკითხი. ეს ძალიან აქტუალური საკითხია და არაერთხელ დაყენებული, უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე ორი წელია ამ მიზნით გამოყოფილია ფული, ფაქტიურად კი მშენებლობა დაწყებული არ არის. ამ საკითხს განიხილავს მინისტრთა საბჭო და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება დეპუტატის მიერ წამოყენებულ საკითხს, რომ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე შეიქმნას საშენ მასალათა წარმოება, იგი შესწავლილი იქნება ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ.

დეპუტატმა ჯამრუღიძემ დააყენა საკითხი ზემო-ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით ალვანის საბჭოთა მეურნეობის სარწყავი მიწების წყლითა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, ვაშლოვნის ნაკრძალისათვის გადაცემული 3 ათასი ჰექტარი საძოვრის დაბრუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დამტკიცებულ გეგმებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს საკითხები მნიშვნელოვანია. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები შეისწავლიან ალვანის საბჭოთა მეურნეობის მიწების სარწყავი წყლით და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხებს და თავიანთ წინადადებებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმაში ცვლილებების შეტანას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სპეციალურად უნდა შეისწავლოს ეს საკითხი და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი წინადადება შეიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. დეპუტატმა ჯამრუღიძემ მოითხოვა აგრეთვე, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზის 2,5-3 კმ სიგრძის მონაკვეთი, რომელიც უერთდება ახმეტა-ყვარლის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზას, გადაცემულ იქნას რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ქსელში, განხორციელდეს მისი კეთილმოწყობა, იგოს ხიდები და გაგრძელდეს მთათუშეთის გზის მშენებლობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს აღნიშნული საკითხის შესწავლა და სათანადო წინადადების წამოყენება.

დეპუტატმა მეგრელიშვილმა დაიყენა მახარაძის ამბრეშუმის ფაბრიკისთვის საბინაო მშენებლობის გადიდების, ქ. მახარაძეში სკოლის, წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოების დაწყების საკითხი. მსუბუქი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობისა და განათლების სამინისტროები განიხილავენ ამ საკითხებს და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

დეპუტატმა ონლიანმ წამოჭრა საკითხი ქ. ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი კომბინატის ქვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისა და საბინაო მშენებლობის გადიდების შესახებ. ამ საკითხებს შეისწავლის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დეპუტატმა ჯავთიაშვილმა წამოაყენა მცხეთაში მდინარე მტკვარზე ხიდის მშენებლობის დაწყების საკითხი. ეს ძალიან აქტუალური საკითხია და არაერთხელ დაყენებული, უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე ორი წელია ამ მიზნით გამოყოფილია ფული, ფაქტიურად კი მშენებლობა დაწყებული არ არის. ამ საკითხს განიხილავს მინისტრთა საბჭო და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დეპუტატმა ჯავთიაშვილმა დასვა საკითხი მავი ზღვის სანაპიროების გამაგრებაზე დამატებითი კაპიტალური დაბანდების გამოყოფის შესახებ. მე უნდა მოვახსენო ამხანაგ დეპუტატებს, რომ ამისათვის გამოყოფილია 2-მილიონი მანეთი და ამის გარდა შავი ზღვის ნაპირების გამაგრების თაობაზე საკავშირო თათვრობაში შეტანილია სათანადო დადგენილების პროექტი და მისი მიღების შემდეგ ეს საკითხი სპეციალურად იქნება განხილული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

დეპუტატმა ჯამრუღიძემ დააყენა საკითხი ზემო-ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით ალვანის საბჭოთა მეურნეობის სარწყავი მიწების წყლითა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, ვაშლოვნის ნაკრძალისათვის გადაცემული 3 ათასი ჰექტარი საძოვრის დაბრუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დამტკიცებულ გეგმებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს საკითხები მნიშვნელოვანია. საქართველოს სსრ მელიორაციისა და. წყალთა მეურნეობის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები შეისწავლიან ალვანის საბჭოთა მეურნეობის მიწების სარწყავი წყლით და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხებს და თავიანთ წინადადებებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

ამხ. ბუხრაშვილმა და დეპუტატმა კოპლატაძემ დააყენეს საკითხი თბილისის და ბათუმის საქალაქო საბჭოების აღმასკომების სამმართველო აპარატის შტატების გადიდებისა და ახალი განყოფილებათა შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხები ზოგადი ხასიათისაა და დაკავშირებულია მმართველობის ხარჯების მნიშვნელობის გზას, გადაცემულ იქნას რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ქსელში, განხორციელდეს მისი კეთილმოწყობა, იგოს ხიდები და გაგრძელდეს მთათუშეთის გზის მშენებლობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს აღნიშნული საკითხის შესწავლა და სათანადო წინადადების წამოყენება.

ეფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს საბჭოების როლის განუხრელი ზრდა. ეს პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, თვითეული ჩვენგანი მოწმეა, გარკვეულად მონაწილეც არის ამ პროცესისა, და ყველამ კარგად იცის, თუ როგორ მაღლდება საბჭოების მთელი სისტემის როლი!

მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო სუვერენიტეტისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის ამსახველი ორგანოების — უმაღლესი საბჭოების საქმიანობის ხვედრითი წონა და მნიშვნელობა. შემუშავდა და დახვეწეს მათი მოღვაწეობის ახალი, ეფექტური ფორმები. მარქსიზმის კლასიკოსთა ტერმინოლოგია რომ მოვიმარჯოთ, ისინი ჰეგმარიტად „მომუშავე კორპორაციებად“ გვეგლინებიან, ისეთ ორგანოებად, რომლებიც თავიანთ ხელში თავს უყრიან მთელ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას როგორც საკანონმდებლოს, ისე აღმასრულებელს.

განსაკუთრებით საგრძნობლად და ამჟარად ამაღლდა ბოლო წლებში უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ყველა სფეროში. დღიდან ძველი დებულების მიღებისა თითქმის ერთი მესამედით გადიდდა. მაგალითად, ჩვენი უმაღლესი საბჭოს, მუდმივი კომისიების რაოდენობა.

ამჟამად მუდმივ კომისიებში გაერთიანებულია დეპუტატთა საერთო შემადგენლობის 72 პროცენტზე მეტი.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ 1959 წელს მიღებული დებულება საქართველოს უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ რამდენადმე მოძველდა, აუცილებელი გახდა ახალი დებულების შეტანა.

ასეთი ახალი დებულება, მისი პროექტი, როგორც მოგახსენებათ, შემუშავებულია და დარიგებულია ყველა სესიის მონაწილეებს. თქვენი მხარდაჭერის შედეგად იგი საბოლოოდ ახალი სახელმწიფო სამართლებრივი ნორმატიული აქტი გახდება.

ახალი დებულების პროექტი საგრძნობლად აფართოებს მუდმივი კომისიების უფლებამოსილებას. უმაღლესი საბჭოს კომისიების ძირითადი დანიშნულება, რასაკვირველია, არ იცვლება, ისინი წარმოადგენენ საბჭოს დამხმარე რგოლებს, რომელთა მეშვეობით უმაღლესი საბჭო უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში. როგორც პროექტის 1-ლ მუხლშია აღნიშნული, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მისი დამხმარე ორგანოებია. ისინი იქმნებიან, რათა ეწინასწარ მოამზადონ და განიხილონ საკითხები, რომლებიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება, აგრეთვე რათა აქტიურად შეუწყონ ხელი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კანონების, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების განხორციელებას.

მუდმივი კომისიები აყენებენ წინადადებებს სამეურნეო-კულტურული მშენებლობის სფეროებში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ არა მხოლოდ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წინაშე, როგორც ეს ადამდე ეყო, დადგენილი, არამედ მინისტრთა საბჭოს წინაშეც. რაც შეეხება მათს დაკვეთდებარებას, დებულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი არიან და მთელ თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან უმაღლეს უმაღლეს საბჭოს.

ამასთან ახალი დებულების პროექტმა გაითვალისწინა წესი, რომლის თანახმადაც მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეები, წევრები და რესპუბლიკის პროკურორი, ეს გამოწვეულია იმით, რომ მუდმივი კომისიების საკონტროლო ფუნქციების გაძლიერებასთან ერთად მიზანშეწონილი ხდება ზემოაღნიშნული თანამდებობების პირთა, კერძოდ კი სოციალისტური კანონიერების ზედამხედველობისა და დაცვის ორგანოების წარმომადგენელთა შეყვანა მათს შემადგენლობაში. დებულების პროექტის თანახმად, მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კონსტიტუციითა და მოქმედი კანონებით, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ დღითიდღე იზრდება პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და გაფართოებაზე, დებულება საგანგებო ყურადღებას აქცევს მუდმივი კომისიების მიერ მოქალაქეთა წინადადებების განხილვასა და მათს განზოგადებას (მუხ. 7). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დებულების პროექტის, ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მუდმივი კომისიების ინიციატივით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გამო საყოველთაოსახალხო განხილვის ჩატარებას.

ახალი დებულების პროექტის მე-19 მუხლის თანახმად მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ მოისმინონ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის როგორც სამინისტროების, უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა ანგარიშები და ახსნა-განმარტებები მათს გამგებლობაში შემავალ საკითხებზე, ისე რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებიც შესაბამის საკითხებზე. ეს მეტად ყურადსაღები პუნქტია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მუდმივი კომისიების ავტორიტეტს. ამაღლებს მათს როლს სახელმწიფო მმართველობის განხორციელების საქმეში.

სამინისტროები, უწყებები და სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, საწარმოდაწესებულებები და ორგანიზაციები, პროექტის თანახმად, ვალდებული არიან კომისიების მოთხოვნენის შესაბამისად დადგენილ გადებში წარმოადგინონ საჭირო სამუშაოები, დასკვნები თუ სხვა მასალები.

დებულება 21-ე მუხლის 11 ნაწილით ადგენს, რომ მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა სხვა სახელმწიფო ორგანოებმა და ორგანიზაციებმა, ხოლო განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიას არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ მუდმივ კომისიებს სრული შესაძლებლობა ეძლევათ ქმედითად ჩაერიონ სამეურნეო თუ კულტურული მშენებლობის საკითხებში. სწორედ ამით არის გამოწვეული აგრეთვე ახალი დებულების პროექტით გათვალისწინებული უფლება, რომ მუდმივმა კომისიებმა შეკითხვით მიმართონ საქართველოს სსრ მთავრობას ან მის ცალკეულ წევრებს, ან კიდევ წინადადება შეიტანონ რესპუბლიკის მთავრობაში.

საგრძნობლად გაზრდილია მუდმივი კომისიების ორგანიზაციული მუშაობის დემოკრატიული საწყისები. დებულებაში აღნიშნულია, რომ მუდმივ კომისიებს შეუძლიათ მოაწყონ გაერთიანებული სხდომები იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება რამდენიმე მუდმივი კომისიის მუშაობას, შეუძლიათ მოაწყონ აგრეთვე გამსვლელი სხდომები (მუხ. 30-ე).

ეს წესი, ადრე არსებული დებულებისაგან განსხვავებით, შეიძლებლობას აძლევს მუდმივ კომისიებს მოახდინონ თავიანთი საქმიანობის კოორდინაცია და უმეტესად ადგილზევე განახორციელონ სახელმწიფო ხასიათის ღონისძიებანი. ამასთან დებულების 34-ე მუხლის თანახმად, მუდმივ კომისიებს შეუძლიათ შექმნან უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან, სათანადო სამინისტროთა, უწყებათა, სხვა სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, სპეციალისტებისა და მეცნიერებისაგან შემდგარი ქვეკომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუდმივი კომისიების მუშაობის დემოკრატიული საწყისების გაფართოებაზე მიუთითებს დებულების 33-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნან სამინისტროების, უწყებების, სხვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც კომისიების სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით. კომისიის სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნან პრესის წარმომადგენლები. აქვე უნდა დავინიშნო, რომ აღნიშნულთან ერთად, დებულების თანახმად, კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებაც.

დებულებაში პირველად არის გათვალისწინებული მუდმივი კომისიების მუშაობის ისეთი დემოკრატიული წესი, რომლის თანახმადაც მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებას კომისია მხარს არ უჭერს, შეუძლია შესაბამისი საკითხის განხილვისას ამ წინადადებით გამოვიდეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის სხდომაზე (მუხ. 24-ე). ორგანიზაციულ სიბლეზე წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ მუდმივი კომისია უფლებამოსილია ჩატაროს სხდომა, როცა მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა.

საგრძნობლად გაიზარდა როგორც საერთო, ზოგადი უფლებები მუდმივი კომისიებისა, აგრეთვე ცალკეული დარგობრივი კომისიების კომპეტენციაც.

მაგალითად, საკითხებდებელო განხილულობათა კომისია დებულების პროექტის თანახმად მეშუშავებს არა მარტო კომისიებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტებს, არამედ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების პროექტებსაც, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, მართლმსაჯულების განხორციელების, აგრეთვე სხვა ზოგადი ხასიათის საკითხების ირგვლივ (მუხ. მე-10); აღნიშნული კომისია უფლებამოსილია აგრეთვე მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებზე.

გარკვეულად გაზრდილია აგრეთვე საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის კომპეტენცია. დებულების მე-11 მუხლის თანახმად ეს კომისია ვალდებულია განიხილოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ა.ს.ს.რ. ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, საქართველოს პროფსაბჭოს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ კომისიაში გადაცემული წინადადებები, რომლებიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებში ცვლილებების შეტანას. ამასთან აღნიშნული კომისია უფლებამოსილია შეისწავლოს სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოყენების საკითხები პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით და სხვ.

მუდმივმოქმედი კომისიების დებულების წარმოდგენილ პროექტში ასახულია საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე დონე. იგი შემუშავებულია საბჭოების ბოლოდროინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მიღება ხელს შეუწყობს მუდმივი კომისიების როლის შემდგომ ამაღლებას, მათი საქმიანობის სრულყოფას, დეპუტატების აქტივობის გაძლიერებას და მთლიანად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებას. (ტაში).

დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულოგათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. გ. კარანაძის მოხსენება

კეთილშობილო დეპუტატებო!

საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის მიერ დაკანონებული მაქვს მოგახსენოთ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ახალი დებულების შესახებ.

დებულების პროექტმა თქვენს განსახილველად წარმოდგენამდე მოამზადების რამდენიმე საფეხური განვლო. იგი ყოველმხრივ შესწავლილ და განხილულ იქნა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, შესწავლილ და მოწონებულ იქნა საკანონმდებლო განზრახულოგათა კომისიის მიერ და დღეს გამოტანილია თქვენს სამსჯავროზე.

ახალი დებულების პროექტის შემუშავება გამოწვეულია იმ ძვრებით, რომლებსაც განიცდის ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება „კომუნისტური მშენებლობის პროცესში, სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი ვანვითარებისა და გაფართოების კვალობაზე.

ეფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს საბჭოების როლის განუხრელი ზრდა. ეს პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, თვითეული ჩვენგანი მოწმეა, გარკვეულად მონაწილეც არის ამ პროცესისა, და ყველამ კარგად იცის, თუ როგორ მაღლდება საბჭოების მთელი სისტემის როლი!

მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო სუვერენიტეტისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის ამსახველი ორგანოების — უმაღლესი საბჭოების საქმიანობის ხვედრითი წონა და მნიშვნელობა. შემუშავდა და დახვეწეს მათი მოღვაწეობის ახალი, ეფექტური ფორმები. მარქსიზმის კლასიკოსთა ტერმინოლოგია რომ მოვიმარჯოთ, ისინი ჰეგმარიტად „მომუშავე კორპორაციებად“ გვეგლინებიან, ისეთ ორგანოებად, რომლებიც თავიანთ ხელში თავს უყრიან მთელ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას როგორც საკანონმდებლოს, ისე აღმასრულებელს.

განსაკუთრებით საგრძნობლად და ამჟარად ამაღლდა ბოლო წლებში უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ყველა სფეროში. დღიდან ძველი დებულების მიღებისა თითქმის ერთი მესამედით გადიდდა. მაგალითად, ჩვენი უმაღლესი საბჭოს, მუდმივი კომისიების რაოდენობა.

ამჟამად მუდმივ კომისიებში გაერთიანებულია დეპუტატთა საერთო შემადგენლობის 72 პროცენტზე მეტი.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ 1959 წელს მიღებული დებულება საქართველოს უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ რამდენადმე მოძველდა, აუცილებელი გახდა ახალი დებულების შეტანა.

ასეთი ახალი დებულება, მისი პროექტი, როგორც მოგახსენებათ, შემუშავებულია და დარიგებულია ყველა სესიის მონაწილეებს. თქვენი მხარდაჭერის შედეგად იგი საბოლოოდ ახალი სახელმწიფო სამართლებრივი ნორმატიული აქტი გახდება.

ახალი დებულების პროექტი საგრძნობლად აფართოებს მუდმივი კომისიების უფლებამოსილებას. უმაღლესი საბჭოს კომისიების ძირითადი დანიშნულება, რასაკვირველია, არ იცვლება, ისინი წარმოადგენენ საბჭოს დამხმარე რგოლებს, რომელთა მეშვეობით უმაღლესი საბჭო უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში. როგორც პროექტის 1-ლ მუხლშია აღნიშნული, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მისი დამხმარე ორგანოებია. ისინი იქმნებიან, რათა ეწინასწარ მოამზადონ და განიხილონ საკითხები, რომლებიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება, აგრეთვე რათა აქტიურად შეუწყონ ხელი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კანონების, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების განხორციელებას.

მუდმივი კომისიები აყენებენ წინადადებებს სამეურნეო-კულტურული მშენებლობის სფეროებში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ არა მხოლოდ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წინაშე, როგორც ეს ადამდე ეყო, დადგენილი, არამედ მინისტრთა საბჭოს წინაშეც. რაც შეეხება მათს დაკვეთდებარებას, დებულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი არიან და მთელ თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან უმაღლეს უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კომპეტი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენებების გამო

ოფიციალური ინფორმაცია

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ.

შ. ე. ბუხრაშვილის

სიტყვა

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის, 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები ნათლად მოწმობენ, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში. ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს — თბილისის მშრომელებსაც. ფართოდ ჩაებნენ რა შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის მშრომელები თავდადებით შრომობენ სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აღწევენ ახალ-ახალ შრომით გამარჯვებებს.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის რეალიზაციის თერმეტი თვის გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულეს, მათ შორის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო საწარმოებმა — 100,2 პროცენტით. ისევე წარმატებით სრულდება ქალაქის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული გეგმის ძირითადი მაჩვენებლები, როგორც არის წყლისა და ელექტროენერგიის რეალიზაცია, ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა, სასტუმროებში სტუმართა მომსახურება და სხვ. ახალი წარმატებებია მოპოვებული ქალაქის გაზიფიკაციისა და თბოფიკაციის შემდგომ განვითარებაში. საქონელბრუნვის თერმეტი თვის გეგმა როგორც საცალო საგაჭრო ორგანიზაციებმა, ისე საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა, გადაჭარბებით შეასრულეს.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად აღმოფხვრილია, მიმდინარე წლის პირველ თვეებში არსებული ერთგვარი ჩამორჩენა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გეგმის შესრულებაში. საქალაქო მეურნეობის ძირითადი დარგების გეგმის წარმატებით შესრულებას ხელს შეუწყო თბილისის ბიუჯეტის ეფექტიანმა გადანაწილებამ. რაც წლის დასაწყისისთვის მიიღწევა დავალების 104 პროცენტს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარება. გაისად ჩვენს ქალაქს ექემატება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის 500 ადგილიანი საქადრაკო-ალბიური კლუბი კიროვის სახელობის პარკში, ველოტრეკი დელიბინი, ქართული ფილმის სტუდიის ახალი კორპუსები დიღომში, 1.300 ადგილიანი საკოლმეურნეო ბაზარი პიონელი მაისის რაიონში, 450 სამუშაო ადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი კოლმეურნის მოედანზე, 800 ადგილიანი ბაღ-რესტორანი საბაპირიზე, 280 ადგილიანი პანსიონატი თბილისის ზღვაზე და სხვა. გაგრძელდება დიდუბის ხიდის, ავტოსატრანსპორტო საგზაო გზის მშენებლობა მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მეტეხის ხიდიდან ორთაჭალასამდე, ბულევარი სასტუმროს „აჭარის" მშენებლობა სპორტის სასახლის წინ, კინო-საკონცერტო დარბაზის, 1.100 საწოლიანი კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა, „დიმამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია, დაიწყება ავტოსტრადის მშენებლობა აეროპორტისაკენ და სხვ.

როგორც ცნობილია, საბინაო საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ მწვავე საკითხად, რომელიც ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს. 1969 წელს საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია გამოიყოს მთელი კაპიტალური დაბანდების 53 პროცენტი. ამ სახსრებით გათვალისწინებულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 282,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

დეპუტატ
ა. ი. კოპლატაძის

სიტყვა

აჭარის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეგებებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძოლიან მშვიდობიან შეკავშირებულნი. ისინი მხურვალედ ისწრაფვიან ეს თითოეული საბჭოთა დადამიანისათვის ძვირფასი თარიღი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული შენებლობის ყველა დარგში და ეს პატრიოტული მისწრაფება გამოხატონ კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობით.

აჭარის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

კარგად მუშაობს ქალაქ ბათუმის მრეწველობა. წინასწარი მოსაცემებით დღეისათვის უკვე გადაღებულია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სახელმწიფო

მიიღებს მილიონობით მანეთის სამრეწველო საქონელს. გაფართოდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, გემთმშენებლობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები. ყოველივე ამას სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი მეურნეობის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლამ. ღღეისათვის ქალაქის სამრეწველო, საწარმოთა 80 პროცენტზე მეტი მუშაობს ახალი სისტემით. ამ საწარმოთა საქმიანობა გვიჩვენებს, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა ხელს შეუწყობს რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. მომოვებული წარმატებები იმის გარანტიაა, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება — 1970 წლის 7 ნოემბრამდე შეასრულოთ ხუთწლიანი გეგმა — პირნათლად შესრულდება;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი, სწორად ასახავენ ძირითად პრობორციებს და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ზრდის ტემპს. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ის, რომ წარმოდგენილი პროექტებით გათვალისწინებულია „პრაქტიკული ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

დეპუტატი წარმოების ეფექტიანობის გადიდების მიზნით აყენებს წინადადებას, რომ ქალაქ ბათუმში ცენტრალიზებულ იქნეს სარემონტო სმუშაოები და ამ მიზნით შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც თავს მოიყრის მთელ ამ სამუშაოს. ეს წინადადება, განაცხადა დეპუტატმა, მოიწონეს ქალაქის საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით დაუჭირეს მხარი საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა. ქალაქი ამ ორგანიზაციას უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიით და შენობით.

დეპუტატ
ზ. ა. თოდეევის

სიტყვა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა საქართველო, გადაიქცა განვითარებული და მოწინავე მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მხარედ. მიმდინარე წლის 11 თვის სამეურნეო საქმიანობის შედეგები როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში მოწმობენ, რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდება ავტონომიური ოლქის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ამაღლდება კულტურა, გაუმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებული ია 106 პროცენტით. წარმოების ზრდის ტემპი მთლიანად მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით. ოლქის მრეწველობამ 20 დეკემბრისათვის შეასრულა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და წელს ბოლომდე გეგმის ზეგით გამოშვებული იქნება ათი ათასამდე მანეთის პროდუქცია.

მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ღირსეული საჩუქრები მოუმზადეს სამშობლოს მიმდინარე წელს. მათ ხილის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა 132 პროცენტით შეასრულეს. ბოსტნეულისა და კარტოფილისა — 102 პროცენტით. წარმატებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, კვერცხის, მატყლის, ტყავისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ყველა ფერის აკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ შემდგომ წარმატებებს.

ამჟამად ავტონომიური ოლქის საწარმოთა ერთი ნაწილი გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. საწარმოთა ნაწილი უკვე მოემზადა ახალ სისტემაზე გადასასვლელად. განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებდნენ და აუმჯობესებენ საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობას, აფიდებენ მათ რენტაბელობას, ქმნიან ბიუჯეტისათვის უფრო მყარ ფინანსურ ბაზას. სამხრეთ ოსეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გადაუჭრელ საკითხებს და სახავენ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არის საკითხები, რომლებსაც საკუთარი ძალებით ვერ გადაეჭრათ. მაგალითად, თუმცა ოლქის მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა, ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც მათგან დაწესებული მიზნების გამო ვერ ასრულებენ დასახულ ამოცანებს, რადგან სისტემატურად ვერ ღებულობენ სათანადო ორგანიზაციებისაგან ნედლეულსა და მასალებს.

დეპუტატი სთხოვს სათანადო სამინისტროებსა და უწყებებს მომავალი წლისათვის უზრუნველყონ ისეთი მუშაობა, რომ ნორმალურად მარაგდებოდეს ოლქი საბრეწველო ორგანიზაციათა და საწარმო.

დეპუტატი აყენებს სესიის წინაშე საკითხს რომ გამოიყოს დამატებითი ძალიანი სამხრეთ ოსეთის რაიონული ცენტრებისა და ქალაქ ცხინვალის შეძდგომი კეთილმოწყობისათვის. საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

დეპუტატ
შ. ე. შარტავას

სიტყვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შედეგებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ აფხაზეთის მშრომელები, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ყოველდღიურად ზრდიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკების მიმდინარე წლის 11 თვის შრომის შედეგები სრულ გარანტიას გვაძლევენ, რომ წლიური გეგმა პირნათლად შესრულდება, მაგალითად, 11 თვეში გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 106.5 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 11.843 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 105,4 პროცენტით.

მიღწეულია გარკვეული წარმატებები მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში, გაზარდა ასიგნებული თანხების რაოდენობა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლამ სოფლის მეურნეობაში ეკონომიური მეთოდების დანერგვამ შესაძლებლობა მოგვცა აგვეძაღლებინა სოფლის მშრომელების შემოქმედებითი ინიციატივა და მატერიალური დახმარეგა. გაგვიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, შეგვეცვიერებინა მათი თვითღირებულება და გაგვიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ასევე დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ აფხაზეთის მშრომელები ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს 1969 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე წლის ბიუჯეტს. ანალოგიური ზრდით ხასიათდება აფხაზეთის ბიუჯეტიც. პროექტი ითვალისწინებს 8.3 პროცენტ მატებას ამ წელთან შედარებით.

ყოველივე ეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გავზარდოთ ასიგნებანი სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის.

ამავე დროს დეპუტატი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, სახიანო და საყოფაცხოვრებო მშენებლობა კეთილმოწყობის სამუშაოთა წარმოება, ღონისძიებანი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის მოითხოვენ დამატებითი ხარჯების გაღებას. მაგალითად, უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შავი ზღვის სანაპიროზე გასამაგრებელი სამუშაოები. მიმდინარე წლისათვის ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 3.1 მილიონი მანეთი. სამუშაოთა ამ მოცულობამ ვერ უზრუნველყო ზღვის ნაპირების დაცვა შტორმების შემოტევებისაგან, რამაც საჭირო გახადა აღდგენითი სამუშაოების წარმოებაც, რაც დიდ ზარალს იწვევს. ასეთი ზარალის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ სამუშაოების დაწყება და დამთავრება მოხდება პროექტით გათვალისწინებული დროის განმავლობაში.

დეპუტატი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ძალიან გაჭიანურდა და დღემდე მოუგვარებელია ქალაქ სოხუმში დაკობებული მიწების ამოშრობის საკუთხი.

დეპუტატი მხარს უჭერს წინადადებას დაამტკიცოს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა და 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოტანილი და დასაბუთებული შესწორებების გათვალისწინებით. იგი აღუთქვამს სესიას, რომ აფხაზეთის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა, გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

დეპუტატ
უ. ფ. ცქვიტინიძის

სიტყვა

1967 და 1968 წლები ქალაქ ქუთაისის კიდევ უფრო გამშვენიერებისა და განვითარების წლებია. ქალაქს ყოველწლიურად ემატება კეთილმოწყობილი უბნები, მოედნები, სკვერები, როძლებსაც თავისებური ლაზათი შეაქვს ქუთაისის მშრომელთა ცხოვრებაში. ეს ნაგებობანი შესანიშნავია თავისი ინჟინრული ჩანფიგურაციით და არქიტექტურული გადაწყვეტით. ქალაქს შეემატა სამი ახალი კეთილმოწყობილი მაგისტრალი. დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი. აშენდა სკოლები, ბაგა-ბაღები, საავადმყოფო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. ძირითადად დამთავრდა ავტოქარხნის მაგისტრალის გასწვრივ დიდი ბულვარის მშენებლობა 18 ჰექტარ ფართობზე.

ასევე წარმატებით იქნება ათვისებული თანხები მიმდინარე წელს როგორც კომუნალური მომსახურების, ისე ბინათმშენებლობის ხაზით. წელს საექსპლოატაციოდ გეგმის გადაჭარბებით გადაეცემა 1.100 კვადრატულ მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მიმდინარე წლის ბიუჯეტის დავალებაც, როგორც ყოველთვის, გადაჭარბებით შესრულდება. მშენებლობის პროცესშია მეექვსე ხიდი რიონზე. დამთავრდა 10 ათასი ადონენტიანი ავტომატური ტელეფონის სადგურის შენობის მშენებლობა. მთავრდება წყგნსაცავის შეიდსართულიანი შენობა ერთი მილიონი წყგნის ტევადობით.

აღნიშნულ წარმატებებთან ერთად დეპუტატი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ქუთაისში ერთადერთი სამავშო საავადმყოფოა, რომელიც თავისი განლაგებით, მოწყობილობითა და საწოლების რაოდენობით ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამ შენობაში ვერც კი ხერხდება ბავშვთა კვალიფიციური მომსახურება. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თავისი ხარჯებით დააპროექტა 350 საწოლიანი ბავშვთა სომატური საავადმყოფო. საავადმყოფოსთან იქნება პოლიკლინიკა, რომელიც ყოველდღიურად 500 ავადმყოფს მიიღებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩვენ გამოვნახავთ დაფინანსების წყაროებს, მხოლოდ ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს მშენებლობა სამინისტროს გეგმით და უზრუნველყოს სათანადო ფონდით.

დეპუტატი აყენებს სესიის წინაშე საკითხს, რომ გამოძებნოს დამატებითი ასიგნებანი ქუთაისში საბინაო მშენებლობის მოცულობის ერთთორად გაზრდისათვის, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა გაფართოებისათვის. ქუთაისში ვერ დგას სათანადო დონეზე თბო და ელექტროენერგიით მომარაგების საქმე. ამიტომ ვთხოვთ საქართველოს მინისტრთა საბჭოს შეისწავლოს ქალაქის თბო და ელექტრომომარაგების საკითხი და დადებითად გადაჭრას იგი.

დეპუტატ
ვ. დ. გვოზდიკოვის

სიტყვა

ქალაქ რუსთავის მშრომელთა უდიდესი შრომითი აღმავლობა, რომლითაც ისინი ეგებებიან დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს, კარგი გარანტიაა იმისა, რომ საქალაქო მეურნეობის განვითარების გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. ამასთან ერთად წლიური გეგმის შესრულების წინასწარი მარგენელები ადასტურებენ, რომ ჩვენი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა დიდი უმრავლესობა წარმატებით ართმევს თავს დასახულ ამოცანებს და სოციალისტური რუსთავის მშრომელები პირნათლად გაანაღდებენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებებს.

ამაზე ნათლად მეტყველებენ დაწესებული გეგმის შესრულების მაგალითები როგორც წარმოების, ისე მოგების მიღებისა და ბიუჯეტის შენატანების მხრივ.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა შარშან 8.600 ათასი მანეთი მოგება მიიღეს გეგმით გთვალისწინებული 6.470 ათასი მანეთის ნაცვლად. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა კი რესპუბლიკის ბიუჯეტში მოგებათა გადარიცხვის ანგარიშში შეიტანეს 12.303 ათასი მანეთი, ანუ 870 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სამეურნეო-საფინანსო გეგმები დაქვემდებარების საწარმოებმა. მათ დადებრივ ბიუჯეტში შეიტანეს 340 ათასი მანეთი. სულ შარშან საკავშირო რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში მოგებათა გადარიცხვის ანგარიშში შეტანილია 20 მილიონი მანეთი, რაც სამი მილიონი მანეთით ჭარბობს გეგმას.

მიმდინარე წლის თერმეტ თვეში რუსთავის სამრეწველო საწარმოებმა საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში შეიტანეს 27 მილიონი მანეთი, რაც სამი მილიონი მანეთით ჭარბობს თერმეტი თვის გეგმა დავალებას. ამეამად ქალაქში წარმოებს დიდი სამუშაოები შრომის ნაყოფიერების გადიდების დაჩქარების რეზერვების გამოსავლინებლად.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, აღნიშნავს დეპუტატი, ქალაქის ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს სახელმწიფო გეგმები. რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო — ქიმიური ბოჭკოს ქარხანა წლების განმავლობაში ვერ ასრულებს გეგმებს და თავისი მაჩვენებლებით ამცირებს სახელმწიფო გეგმების შესრულების საერთო დონეს. ამჟამად ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ თავდალოთ არსებული ნაკლოვანებანი, რომ მომავალ სამეურნეო წელს საწარმო ჩვენაყენოთ, მორნიანი რეგებში.

დეპუტატი აყენებს სესიის წინაშე საკითხს, რომ გაიზარდოს თანხები რუსთავის კეთილმოწყობისათვის. განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებებისათვის.

დეპუტატ
შ. ი. ამირანაშვილის

სიტყვა

1968 წელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის თარიღია. ჩვენ განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავთ დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი და ჩვენი ერის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების დიდი კერის — თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი. ქართული კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგს ახასიათებს დიდი წარმატება და თვალსაჩინო მიღწევები ამ წელს. აღნიშნული გარემოება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ მომავალი მუშაობის ჭერსპექტიული გეგმა. დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დროულად ავიცილოთ თავიდან ზოგიერთი ნაკლი და ხელი შევუწყოთ ქართული კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად როგორც თბილისში, ისე თითქმის ყველა რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში თავმოყრილია მატერიალური კულტურის, ხელოვნების, დამწერლობის და ლიტერატურის უნიკალური მნიშვნელობის კოლექციები, გამოჩენილი პირთა ავტოგრაფები, რეკონსტეიური მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები. ეს მასალები ნათელს ფენენ ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიას, რევოლუციურ წარსულს და გმირულ დღევანდელობას. მუზეუმებში მოწყობილ ექსპოზიციებს ყოველწლიურად ეცნობა და გულდასმით ათვალიერებს ორ მილიონამდე მნახველი.

დეპუტატი სესიის წინაშე აყენებს საკითხებს, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისა და რაიონული ბიბლიოთეკების შენობათა შეკეთებისა და რეკონსტრუქციისთვის 1969 წელს დამატებით გამოიყოს 200 ათასი მანეთი. გადადგეს ისიგნებანი სოფლის კულტურის დარგის მუშაკთა კომუნალური მომსახურებისათვის. დაარსდეს ახალი გამომცემლობა „ხელოვნება".

დეპუტატი სიამოვნებით ლაპარაკობს ქართული ხელმძღვანელის დიდ პოპულარობაზე უკანასკნელ წლებში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, აღნიშნავს იგი, მოსკოვში აღმოსავლეთის ერების ხელოვნების მუზეუმში მოეწყო გამოფენა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათებისა. გამოფენამ მშრომელთა ფართო მასები მიიზიდა. 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე გამოფენა გადაიტანეს პრაღაში ახალი ხელოვნების მუზეუმში. მიუხედავად რთული ვითარებისა, გამოფენამ მიიზიდა ქალაქის მშრომელთა ფართო მასები. 30 სექტემბერს ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა საზეიმოდ გაიხსნა პოლონეთის ეროვნული მუზეუმის დიდ დარბაზებში. აქ წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური ხელოვნების ცალკეული ნიმუშები, ცალკე მოეწყო ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა. ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა მომავალი წლის მარტში უნდა მოეწყოს ლონდონის მუზეუმში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მომავალი წლის გაზაფხულზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოეწყობა ქართული კულტურის დეკადა. ყველა ეს ღონისძიება მოწმობს ჩვენი კულტურისა და ხელოვნების დიდ წარმატებებს, ჩვენ კი ქართველმა ხალხმა მოიპოვა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად.

დეპუტატ
ა. ე. მელაძის

სიტყვა

ცხოვრებამ უკვე დაადასტურა, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდები გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის მაცოცხლებელ ნაკადად. მაგრამ, ცხოვრებამ ისიც გვიჩვენა, რომ სამეურნეო ფორმის დანერგვაზე უარყოფით გავლენას ახდენენ მრეწველობის დაგეგმვასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას შორის არსებული სერიოზული შეუსაბამობანი. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავთვისუფლებულვართ ძველი ჩვეულებიდან, როცა საწარმოო გეგმების შესაბამისად დამკვეთი ფონდები ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსებით. მაგალითად, რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმით წელს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დავალებული ჰქონდა 5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის გამოშვება, რაც ნაწილობრივ იყო უზრუნველყოფილი საჭირო ნედლეულით.

ჩვენ მიგვაჩნია, ამბობს დეპუტატი, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესება და სრულყოფა უნდა მოხდეს შემდეგი მთავარი მიმართულებებით: პირველი — უშუალოდ საწარმოებს შორის, აგრეთვე საწარმოებსა და მომმარაგებელ ორგანიზაციებს შორის პირდაპირი, ხანგრძლივი და მყარი კავშირის დამყარება; მეორე — მომარაგება-გასაღების ბაზების და სპეციალიზებული მაღაზიების მეშვეობით საწარმოთათვის საჭირო მასალებით საბითუმო ვაჭრობაზე თანდათანობით გადასვლა; და ბოლოს, მესამე მიმართულება — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის გაუმჯობესება. ამასთან სამართლიანობა მოითხოვს გადიდდეს ნედლეულისა და მასალების მიწოდების შეფერხების გამო მომმარაგებელი ორგანიზაციებისათვის დაწესებული ჯარიმების პროცენტული ოდენობა.

დეპუტატი აღნიშნავს, რომ საჭირო რაიონს ხელმძღვანელებმა გააძლიერონ ყურადღება სამრეწველო კომბინატების საქმიანობისადმი. მეტი ყურადღება დაუთმონ ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების სწორად შერჩევას ამ საწარმოებში.

დეპუტატ
ნ. ბ. შონიას

სიტყვა

ამჟამად ცხაკაიას რაიონის შრომელთა მთავარი საზრუნავი გახდა წარმოების დონის შემდგომი ამაღლება და ეკონომიური ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რომლის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში დიდ როლს შასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმასწინანდელი სესიის გადაწყვეტილება საახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ზოგიერთი ამოცანა. ქართველმა ფიზიკოსებმა საყურადღებო შედეგები მიიღეს კოსმოსური სხივების შესწავლის დარგში, მყარი სხეულებისა და დაბალი ტემპერატურების ფიზიკაში. ასტროფიზიკოსები გალაქტიკის და მზის სისტემის ცალკეულ პლანეტათა ფიზიკური ბუნების შესწავლასთან ერთად ასრულებენ დავალებებს, რომლებიც დაკავშირებულია დადამეს ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური ზონდების დაკვირვებებთან. დიდი თეორიული და პრაქტიკული შედეგებია მოპოვებული ელო�რგიის, გეოფიზიკისა და გეოკრაფიის დარგში.

გრძელდებოდა სამშაოები ღრუბლებზე ზემოქმედების ფიზიკური საფუძვლების, ტექნიკური საშუალებების და მეთოდების შესამუშავებლად სეტყვის თავიდან აცილების მიზნით. ალაზნისა და ივრის ველებზე რვა წლის განმავლობაში სეტყვისაგან დასაცავი სამუშაოების შედეგად დადგენილია, რომ დასაცავ ტერიტორიაზე სეტყვიანობა დაახლოებით 70 პროცენტით შემცირდა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დავალებით დამთავრებულია მოსამზადებელი სამუშაოები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სახალხო-სამეურნეო კულტურების სეტყვისაგან დაცვისათვის.

დეპუტატი ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერების სხვა დარგების მიღწევებს. ყველაფერი ეს შედეგია იმ დიდი და ენერგიული დახმარებისა, ამბობს იგი, რომელსაც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას უწევს ჩვენი მთავრობა და პარტია ყოველწლიურ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფით და ხელმძღვანელობით.

ამგრამ რაიონის სოფლებისა და თვით ქალაქ მცხეთის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მცხეთას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს არის ქალაქი-მუზეუმი, რომელსაც ამშვენებს ისეთი შესანიშნავი ისტორიული ძეგლები, როგორიცაა სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი, არმაზი, ანტიოქია, ზედაზენი, ბებრის ციხე, მათი ბადალი ცოტა თუ მოიპოვება მსოფლიოში. ამიტომ არის, რომ მცხეთისაკენ განუწყვეტლივ მიედინება ტურისტთა ნაკადი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან.

მცხეთის უნიკალურ ძეგლებს, რომელებშიც ასახულია ქართველი ერის დიდებული კულტურა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მცხეთის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. ჩვენი ვალია ფართო პოპულარიზაცია გავუწიოთ ქალაქის ისტორიულ ძეგლებს. ამ მიზნით საჭიროა გამოიცეს გზამკვლევები, დამზადდეს სამკერდე ნიშნები, დაიბეჭდოს ალბომები სხვადასხვა ენებზე, რომ მსოფლიოს ყოველი ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს ჩვენი ძეგლების გაცნობის საშუალება ჰქონდეთ.

ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ მცხეთა გადაიქცეს საქართველოში ტურიზმის ცენტრად. ამ მიზნით აქ აშენდება კეთილმოწყობილი პანსიონატები და ბაზები, კემპინგი უცხოელი ტურისტებისათვის.

დეპუტატი სთხოვს სესიას გამოძებნოს დამატებითი სახსრები მცხეთაში

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატ ვ. ზ. თოხაძის

სიტყვა

დიდი ამოცანების წინაშე დგას 1969 წელს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიც არის მომსახურების სფერო, კერძოდ, ვაჭრობა. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონეს, მისი მოთხოვნის შინაარსსა და ხასიათს გარკვეული თვალსაზრისით ვაჭრობაც ასახავს. წლითიწლობით იზრდება მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და ამ შემოსავლის ის ნაწილიც, რომლის რეალიზაცია ვაჭრობის საშუალებით ხორციელდება.

მიმდინარე წლის საქონელბრუნვისა და მოგების გეგმებს, აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებს საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციები გადაჭარბებით ასრულებენ. 1969 წლისათვის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გათვალისწინებულია 2.060 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით 160 მილიონი მანეთით მეტი. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს მკვეთრად გაუმჯობესოთ ვაჭრობის ორგანიზაცია, ავამაღლოთ მოსახლეობის მომსახურების კულტურის დონე გავაძლიეროთ ეკონომიური და კომერციული ვაჭრობა.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომლებიც. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს ვაჭრობის წესებისა და სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის, სახელმწიფო ქონების ხელყოფისა და სხვა ბოროტმოქმედებათა სახით. (ეტა როდი იმის მაგალითი, როცა ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელები დაუდევრად ეკიდებიან და ვერ უძღვებიან მინდობილ საქმეს. ამ დამახინჯებათა, აგრეთვე სახელმწიფო ქონების ხელყოფის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა წარმოეს, რომელიც ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და კონტროლის ორგანოების დახმარებით უფრო ქმედითი გახდა და გარკვეული საყოფიც გამოიღო. ამჟამად ჩვენ კიდევ უფრო ვაძლიერებთ მუშაობას ვაჭრობაში სახელმწიფო წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, განაგრძობს დეპუტატი, მრეწველობამ განახორციელა საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, ყველაფერი რიგზე მაინც არ არის და მრეწველობის საწარმოები ფეხდაფეხ ვერ მიჰყვებიან მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნასა და გემოვნებას. საქონლის წარმოებისა და მიწოდების მხრივ დიდ ვალშია მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემა. რომელმაც მიმდინარე წლის 11 თვეში სავაჭრო ორგანიზაციებს დააკლო 20 მილიონზე მეტი მანეთის საქონელი. რაც შეეხება საქონლის ხარისხსა და ასორტიმენტს, აქაც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს საკითხი ეხება არა მარტო მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს. არამედ სხვა მიმწოდებელ უწყებებსაც — ადგილობრივ მრეწველობას და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ორგანიზაციებს. კვლავ დღეა იმ საქონლის ხვედრითი წონა, რომელიც სახელმწიფო ინსპექციას უფრო დაბალ ხარისხში გადაჰყავს და უბრუნებს მრეწველობას დეფექტების გამოსასწორებლად. მეტ ყურადღებას მოითხოვს საქონლის გარეგნული იერის შეფუთვისა და ეტიკეტების გაუმჯობესების საკითხი.

დეპუტატ თ. ი. ქართველიშვილის

სიტყვა

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ბორჯომის საკურორტო მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და კეთილმოწყობას. ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის განხორციელება კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ბორჯომის ხეობას. სამწუხაროდ, ამბობს დეპუტატი, რესპუბლიკის მთავრობის ეს დადგენილება მთლიანად არ სრულდება, ხოლო ზოგიერთი სამუშაო შეუწყნარებლად ჭიანურდება. მაგალითად, არ დაწყებულა დაბა ბაკურიანში კულტურის სახლის მშენებლობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ორგანიზაციებს. კვლავ დიდია იმ საქონლის ხვედრითი წონა, რომელიც სახელმწიფო ინსპექციას უფრო დაბალ ხარისხში გადაჰყავს და უბრუნებს მრეწველობას დეფექტების გამოსასწორებლად. მეტ ყურადღებას მოითხოვს საქონლის გარეგნული იერის შეფუთვისა და ეტიკეტების გაუმჯობესების საკითხი.

დეპუტატ თ. ა. ბერიძის

სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ ენგურჰესის მშენებლობას, სისტემატურად იხილავენ მისი ამოქმედების დაჩქარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეხმარებიან მშენებლებს ადგილზე შექმნილ სიძნელეთა დაძლევაში, ზრუნავენ მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. აქ აიგო თანამედროვე ტიპის 14 დასახლებული პუნქტი, გაყვანილია წყალსადენი, გათბობა, განათება. მშენებლებს ემსახურება 10 კლუბი, 10 ბიბლიოთეკა, 14 სბავშვო ბაღი და ბაგა, ორი კეთილმოწყობილი საავადმყოფო და ექვსი სამედიცინო პუნქტი, საზოგადოებრივი კვების 26 ობიექტი და 41 სამრეწველო და სასურსათო მაღაზია. ენგურჰესის მშენებლები სავსებით უზრუნველყოფილი არიან თანამედროვე მანქანებით, მექანიზმებით და სატრანსპორტო საშუალებებით.

ენგურჰესზე ჩამოსულ ახალგაზრდებს შესანიშნავი პირობები აქვთ სწავლისათვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ზუგდიდის ფილიალში ახალგაზრდები წარმოებას მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს განათლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ ენგურჰესის მშენებლობას, სისტემატურად იხილავენ მისი ამოქმედების დაჩქარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეხმარებიან მშენებლებს ადგილზე შექმნილ სიძნელეთა დაძლევაში, ზრუნავენ მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. აქ აიგო თანამედროვე ტიპის 14 დასახლებული პუნქტი, გაყვანილია წყალსადენი, გათბობა, განათება. მშენებლებს ემსახურება 10 კლუბი, 10 ბიბლიოთეკა, 14 სბავშვო ბაღი და ბაგა, ორი კეთილმოწყობილი საავადმყოფო და ექვსი სამედიცინო პუნქტი, საზოგადოებრივი კვების 26 ობიექტი და 41 სამრეწველო და სასურსათო მაღაზია. ენგურჰესის მშენებლები სავსებით უზრუნველყოფილი არიან თანამედროვე მანქანებით, მექანიზმებით და სატრანსპორტო საშუალებებით.

ენგურჰესზე ჩამოსულ ახალგაზრდებს შესანიშნავი პირობები აქვთ სწავლისათვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ზუგდიდის ფილიალში ახალგაზრდები წარმოებას მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს განათლებას.

ბევრმა ახალგაზრდამ ისახელა თავი მშენებლობაზე. ელექტრიკი მათ შორის ასახელებს ხაშურელ ემილო ნოზაძეს, ცაგერელ ომარ ბობოხიძეს, დუშელ ილია ნარიმანიძეს, ვანელ გიგლა ხურციძეს, ზუგდიდელ ომარ სიჭინავას, წალენჯიხელებს აკაკი საჯაიასა და ალეური ქარდავას, ამბროლაურელ სარდიონ მამუჩარაშვილს, ცხაკაველ ვაჟა შალამბერიძეს, განსაკუთრებით გამოჰყოფს ძმები გიგი, შოთა და ალეოშა ნადირაძეებს და სხვებს.

მაგრამ. მიუხედავად დიდი წარმატებებისა, ჯერ კიდევ ვერ მიგვიწეია რიტმულობას მშენებლობის მუშა ხელით უზრუნველყოფის საქმეში. თუ დროზე არ ვიღონეთ ყველაფერი, ის მძლავრი ტექნიკა, რომელიც საქმო რაოდენობით მოგვეპოვება მშენებლობაზე, ერთგვარად გამოუყენებელი დარჩება. უკვე დღეს მუშა ხელის სიმცირის გამო გაჩერებულია რამდენიმე ათეული ავტომაქანა, ხოლო ზოგიერთი მექანიზმი მხოლოდ ერთ ცვლაში მუშაობს. დღეს ენგურჰესის მშენებლობას 1.500 მუშა აკლია. დეპუტატი სთხოვს რესპუბლიკის რაიონის ხელმძღვანელებს საჭირო ღონე იხმარონ ამ უნიკალური მშენებლობის მუშახელით უზრუნველსაყოფად. (საქდესი).

კამათი მოხსენების გამო — „კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ“

დეპუტატ დ. ჯ. ჯიჯელავას

სიტყვა

დღეანდელ სესიაზე განსახილველად შემოტანილი პროექტი კანონისა — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ“ წარმოადგენს ახალ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ნაკარნახევია სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების თანამედროვე პირობებით.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ განვითარებას ხელმძღვანელობს, თავის წმიდათა წმიდად მოვალეობად მიიჩნია ზრუნვა ადამიანების კეთილდღეობისათვის, პირველი რიგის საზრუნავ საგნად აიყოთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების — საბჭოების განვითარებისა და მათი საქმიანობის სრულყოფის საქმე. პარტიის ესოდენ თანმიმდევრული ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა დადგენილება „აშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. ეს მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულ მუშაობაში საპროგრამო დოკუმენტი მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე მასობრივი რგოლის — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას.

როგორც ცნობილია, ერთ დროს გაბატონდა შეხედულება იმის შესახებ, რომ საბჭოები არ უნდა ეთვლოდნენ საზოგადოების შრომითი საქმიანობის აქტიური პრობლემების გადაწყვეტაში. ცხადია, ამან უდავოდ დიდი ზიანი მიაყენა საბჭოების მუშაობას და მათს ავტორიტეტს. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა ჯერ დაგმო ეს მავნე შეხედულება, ხოლო პარტიის XXIII ყრილობამ თავისი დადგენილებით უფრო ამაღლა საბჭოების როლი კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გაძლიერდა საბჭოების როლი ჩვენი ქვეყნის მართვაში.

ჩხოროწყუს რაიონში 12 სასოფლო და ერთი სადაბო საბჭოა. სასოფლო და სადაბო საბჭოებს ხელმძღვანელობენ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, რომლებსაც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ. სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სესიებისა და სოფლის ყრილობათა აქტიურმა ზემოქმედებამ გაუმჯობესა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარების საქმე, გაძლიერა უსაქმო და მოხეტიალე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა. ამჟამად რაიონში არ არიან ისეთი პირები, რომლებიც შრომითს საქმიანობას არ ეწევიდნენ კოლმეურნეობაში ან საწარმო-დაწესებულებებში.

დეპუტატს შემოაქვს წინადადება დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი კანონისა სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ.

ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის

მ. მ. სამხარაძის

სიტყვა

ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები ახლა უფრო კონკრეტულად სწავლობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, გათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა აქტიური საკითხებს, განსაბილველად შეაქვთ ეს საკითხები სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე და სახავენ სათანადო ღონისძიებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებისათვის. სამაგრისია აღინიშნოს, რომ 1967-1968 წლებში ზესტაფონის რაიონში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სასოფლო საბჭოს 7 შენობა და შეიძინა ისინი საჭირო ინვენტარითა და ავეჯით. მშენებლობის პროცესშია ორი შენობა. გათვალისწინებული გვაქვს 1969-1970 წლებში რაიონის ყველა სასოფლო საბჭო უზრუნველყოთ კეთილმოწყობილი ბინებით.

ორატორი აყენებს სესიის წინაშე საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებდა რესპუბლიკის სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობას. იგი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაიჭრას სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი. საჭიროა აგრეთვე მეცნიერება სასოფლო საბჭოს აღმასკომებს თავიანთი ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლიდან და დანაზოგებიდან აიგებინონ ერთი საშტატო ერთეული, რომელიც შეასრულებს აღმასრულებლის მოვალეობას.

ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობის გაფართოებამ მოითხოვა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მეკვთრი გაუმჯობესება. ჯერ კი დღის წესრიგში დააყენა საკითხი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან საორგანიზაციო განყოფილების შექმნის აუცილებლობის შესახებ. როგორც ცნობილია, ზოგიერთ რესპუბლიკაში ასეთი განყოფილება უკვე შექმნილია.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვის საქმეში დიდი როლი აკისრია პრესას. ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები ზზრად აქვიყენებენ სტატიებსა და კორესპონდენციებს სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობაზე, რაც დიდად ეხმარება ამ საბჭოების მუშაობის მუშაობაში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ წარმოებული მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ქართულ ენაზე ძალიან ცოტა რამ იწერება ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში კი არასწორად აშუქებენ საბჭოების მრავალმხრივ საქმიანობას.

დეპუტატ ზ. ს. ხოლუაშვილის

სიტყვა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობის მთელ მანძილზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოები პარტიის სამთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად უმოკლეს ვადაში აღდგა ომისეული ნგრევიდან, საავტომობილო გზები, მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით ნაგები ხიდები, მოწესრიგდა კომუნალური მომსახურების ობიექტები.

ბორჯომის მშრომელთა მთავარი საზრუნავი და ამოცანაა კურორტზე სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულ მშრომელთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ამ მიზნით პარტიის ბორჯომის რაიკომის უკანასკნელ პლენუმზე სწორად იყო დასმული საკითხი, რომ დაამაყოფილებულ იქნას კურორტ ბორჯომისა და მისი ჯგუფის კურორტების მოთხოვნილება ბოსტნეულით, ხილითა და რძით. მიზანშეწონილია ქალაქ ბორჯომის გარშემო მდებარე კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნას მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა და აკვერცხითა და ფრინველის ხორცით დაკმაყოფილების მიზნით რაიონში აიგოს 10 ათასი ფრთა ქათმისათვის საინკუბატორო სადგური.

ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედებს ნაძვის დიდი ლაფნიქამის წინააღმდეგ მებრძოლი ხუთი ლაბორატორია. ეს ლაბორატორიები სხვადასხვა უწყებებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ეკუთვნის. ასეთი უწყებრივი დანაწევრების გამო ლაბორატორიების მუშაობა ნაკლებ ეფექტურია და პრაქტიკულად არ ნაზღაურდება ის დიდი ხარჯები, რასაც სახელმწიფო ეწევა ნაძვის დიდი ლაფნიქამის წინააღმდეგ საბრძოლველად. უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ ამ ლაბორატორიებს გაერთიანებოდნენ ერთ მძლავრ სამეცნიერო-პრობლემურ ლაბორატორიად.

დეპუტატ ვ. გ. ნიჟარაძის

სიტყვა

საქართველოს ჰიდროენერგეტიკის გეგმები მდინარე ენგურზე, რომლის მშენებლობა ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს სიამაყეა. ენგურჰესის ხარისხიანად და დადგენილ ვადებში ამუშავება მშენებელთა გადაუდებელი და დიდად სპასტიო ამოცანაა, რომლითაც საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტრომომარაგების საკითხები მომდევნო წლებში და ამასთან ერთად უდიდეს როლს შეასრულებს ამიერკავკასიის ენერგოსისტემის მყარი მუშაობის უზრუნველყოფაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ ენგურჰესის მშენებლობას, სისტემატურად იხილავენ მისი ამოქმედების დაჩქარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეხმარებიან მშენებლებს ადგილზე შექმნილ სიძნელეთა დაძლევაში, ზრუნავენ მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. აქ აიგო თანამედროვე ტიპის 14 დასახლებული პუნქტი, გაყვანილია წყალსადენი, გათბობა, განათება. მშენებლებს ემსახურება 10 კლუბი, 10 ბიბლიოთეკა, 14 სბავშვო ბაღი და ბაგა, ორი კეთილმოწყობილი საავადმყოფო და ექვსი სამედიცინო პუნქტი, საზოგადოებრივი კვების 26 ობიექტი და 41 სამრეწველო და სასურსათო მაღაზია. ენგურჰესის მშენებლები სავსებით უზრუნველყოფილი არიან თანამედროვე მანქანებით, მექანიზმებით და სატრანსპორტო საშუალებებით.

ენგურჰესზე ჩამოსულ ახალგაზრდებს შესანიშნავი პირობები აქვთ სწავლისათვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ზუგდიდის ფილიალში ახალგაზრდები წარმოებას მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს განათლებას.

ამ ამოცანების ცენტრალური კომიტეტი, აგრეთვე საქართველოს მთავრობა ყურადღებას აქცევს ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ფერადი მეტალურგიისა, ქიმიისა, ტყეთმცოდნეობისა, ტყეგამოყენებისა, ტყეგაფენილობისა, ტყეშენახვისა, ტყეგაშენებ